

ნომერი 3:



30 პერტონია:
ზემოქმედება გულსა და სისხლძარღვებზე



უზრთხილდით ტრავმებს!



აუტოკომოტორაპია –
მკურნალობა საკუთარი სისხლით



30 პერტონია: ზემოქმედება გულსა და სისხლძარღვებზე

სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ყოველი მესამე მცხოვრები ჰიპერტონიის ან თუ იმ ხარისხით ავადობს. თუმცა, სიტყვა „ავადობს“ არცთუ სწორადია შერჩეული, რადგან ხშირად, ეს დაავადება შეუქმნეველი რჩება, ლატენტურად მიმდინარეობს და სრულიად სვადასხვა ორგანოებს – გულიდან და სისხლძარღვებიდან დაწყებული, თვალთ და მთავრებული – აზიანებს. ჰიპერტონიის უკიდურესად მძიმე და საშიში შედეგები თავიდან რომ ავიცილოთ, მას არა მარტო უნდა ვუმკურნალოთ, არამედ მის განვითარებას ხელი შევეშალოთ.



მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც გულ-სისხლძარღვთა დაავადების პრობლემებითა დაკავებული, ამერიკის კარდიოლოგთა ასოციაცია (აკა). მას კარდიოლოგიისა და ანგიოლოგიის სფეროში გამორჩეულად მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტი აქვს.

აღნიშნული ორგანიზაციის პროგნოზების მიხედვით, მხოლოდ 20 წელი იქნება საჭირო, რომ აშშ-ში მოსახლეობის 40% გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიებით დაავადდეს. ამასთან, როგორც ვარაუდობენ, არტერიული ჰიპერტონიით ავადობა 10%-ით გაიზარდება, შედეგად კი მიოკარდიუმის ინფარქტებისა და ინსულტების გავრცელება 25%-ით მოიმატებს! თავის მხრივ, ამ დაავადებათა, ასევე გულის იშემიური დაავადებისა და მსგავსი სახიფათო პათოლოგიების მკურნალობის პირდაპირი ხარჯები გასამაგდება და ასტრონომიულ რიცხვს – ყოველწლიურად 600 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

პროგნოზების თანახმად, მსგავსი ტენდენციები ევროპის ქვეყნებსაც ახასიათებს.

პროფილაქტიკა – ჯანმრთელობის საფინდარი

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის კარდიოლოგთა

ასოციაციის ანალიზში დადებითი მომენტებიც არსებობს. პირველ რიგში, სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ შესაძლებელია გულ-სისხლძარღვთა დაავადების დიდი ნაწილი თავიდან ავიცილოთ. წარმატების საწინდარი კი ფიზიკურ აქტივობასა (ამტანობის ვარჯიშები – სირბილი, სპორტული სიარული, ცურვა, ველოსპორტი) და სწორ, დაბალანსებულ კვებაშია.

გულ-სისხლძარღვთა დაავადების პროფილაქტიკის უკანასკნელ უნივერსალურ საშუალებად სპეციალისტებმა კალიფორნიის ადამიანებს. კვლევის შედეგები, უბრალოდ, საოცარია. თუკი ჩვენი პლანეტის მაცხოვრებლები ამ მაკროელემენტის შემცველობას საკუთარ რაციონში დიდი რაოდენობის სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის ჩართვით გაზრდიან, დედაქალაქის მასშტაბით ყოველწლიურად 1100 ინსულტის თავიდან აცილებას შეეძლებოდა.

ჯანმრთელობისათვის შესაძლო სარგებლობის მასშტაბები შთაბეჭდავია. და ეს ლიტონი სიტყვები არ არის: ამერიკელი კარდიოლოგების მიერ გამოქვეყნებული 19-წლიანი კვლევის შედეგები, რომელშიც 247

ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, გულისა და სისხლძარღვებისათვის საჭირო ამ მაკროელემენტის სასარგებლოდ შეტყვევებს.

ყოველწლიურად კალიფორნიის მოსახლეობის ზრდა 1,64 გრამით ინსულტების რიცხვს 21%-ით ამცირებს! მაგრამ მისი ეფექტი მხოლოდ პროფილაქტიკური ზემოქმედებით არ ამოიწურება. მაგნიუმთან – სიცოცხლისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მაკროელემენტთან ერთად, კალიფორნიის გავლენას ახდენს გულის კორონარულ სისხლძარღვებსა და მათთან დაკავშირებულ დაავადებებზე. აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე გერმანელი ექიმები მიღებულ შედეგებში სრულიად დარწმუნებული არიან. მათი რე-

უფროსილდით ტრავმებს!

სიცოცხლის განმავლობაში ტრავმას ყველა იღებს, თანაც არაერთხელ – სამზარეულოში, სამუშაოზე, სპორტული ვარჯიშისას. ნებისმიერი ტრავმა შესანიშნავად ჯდება ტრადიციულ, კინოფილმის წყალობით ცნობილ სქემაში: „მივიღოდი, დავეცი, გონს მოვედი – თაბაშირში ვარ“ («шел, упал, очнулся – гипс»). რა ხდება ასეთი დაზიანებისას, სწორად როგორ ვუმკურნალოთ მას?



რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ტრავმების მიზეზთა ჩამონათვალში პირველ ადგილს სპორტი სრულიად არ იკავებს. ამერიკელმა სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ ადამიანი ტრავმებს გაცილებით ხშირად ყოფით სიტუაციასა და სამუშაოზე იღებს.

თავდაპირველად, ტრავმა, სავარაუდოდ, ადამიანთა მოდგმის ყველაზე მოხერხებულ და მარჯვე წარმოდგენელთა გადარჩევისა და სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი ხერხი იყო და მათ ნაკლებად მოქნილ და არარაციონალურ თანამომქმებთან შედარებით უპირატესობას აძლევდა.

სპორტული ტრავმებიდან ყველაზე მეტად კოჭ-წვივის სახსრის დაზიანება გავრცელებული. სტატისტიკის მიხედვით, მათზე ისეთი სპორტული ტრავმების ყოველი მე-5 შემთხვევა მოდის, რომლებიც ექიმის ჩარევას მოითხოვს, თუმცა ავადმყოფები ნორმალურ მუშაობასა და სპორტში ვარჯიშს, ჩვეულებრივ, რამდენიმე კვირის შემდეგ უბრუნდებიან. მუხლის ტრავმები უფრო იშვიათად გვხვდება,



ორგანიზმის პასუხი ტრავმაზე

- სისხლდენის არის შეზღუდვის მიზნით სისხლძარღვების დაუყოვნებელი შევიწროება, რასაც შემდგომში სისხლძარღვების გაფართოება მოსდევს.
- თრომბოციტები ერთმანეთს „ეწყებენ“, რითაც სისხლძარღვის მექანიკურ ბლოკადას იწვევს.
- იწყება ტკივილთან დაკავშირებული ქიმიურ ნივთიერებათა – მედიატორთა სინთეზი, რაც დაზიანების უბანში ლეიკოციტების მიზიდვას განაპირობებს.
- ლეიკოციტები თრომბის წარმოქმნას არეგულირებს, ლოკალურ შემუშებებს ასტიმულირებს და საკუთარ იმუნოლოგიურ მოქმედებას ახორციელებს.

მაგრამ, როგორც წესი, მეცხების დაზიანების გამო შედარებით მძიმე ხასიათით გამოირჩევა. სპორტსმენებში მუხლზე გაკეთებული ოპერაცია ჩვეულებრივ შემთხვევაა. ტრავმის მიღების მხრივ სპორტის ყვე-

ლაზე საშიში სახეებია ფეხბურთი, კალათბურთი, ასევე სამთო-სათხილამურო სპორტი.

ყოფით პირობებში გაცილებით ხშირად გვხვდება კუნთების დაჭიმვა და გაწყვეტაც კი, რასაც განსაკუთრებული მკვეთრი მოძრაობები, სხეულის ერთ-ერთი მხარის გადატვირთვის გამომწვევი მონოტონური მუშაობა განაპირობებს. ტიპური საყოფაცხოვრებო ტრავმა – მხრის ან იდაყვის მკვეთრი, გამჭოლი ტკივილი მოუხერხებელი ნახტომის, ჩანთის ადებისას ვითარდება. დაცემა, განსაკუთრებით კი ხანშიშესულ ადამიანებში, რომელთაც ძვლების დაქვეითებული სიმკვრივე აღნიშნებათ, მოტენილობით მთავრდება, რაც განსაკუთრებულ მკურნალობას მოითხოვს. გამორჩეულ ადგილს იკავებს სხვადასხვა ჭრილობა, დამწვრობა. მათთვის დამახასიათებელია ჩვეულებრივ, სხვა ტრავმებისაგან განსხვავებული დაზიანება, რომელთაც მხოლოდ ორგანიზმის მხრივ განვითარებული საპასუხო რეაქციით ემსგავსება.

რამაქცია ტრავმაზე

ადამიანის ორგანიზმში განსაკუთრებულად რთული და ჭკვიანი მექანიზმია, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა რაიმე დაზიანებამ მისი სისტემების მუშაობა სერიოზულად არ დაარღვიოს. პირველი რეაქცია ვლინდება ანთებითი პროცესის ჩართვის სახით, რომელიც მწვავე ტრავმის საპასუხოდ ვითარდება და მიზნად ტრავმის შემოსაზღვრას იხსნავს. ანთების ამოცანაა, ტრავმის შედეგებისაგან ყველა დანარჩენი სისტემა და ორგანო დაცვა. ტრავმაზე ორგანიზმის მხრივ განვითარებული ნორმალური ფიზიოლოგიური პასუხი კი

გავრძელება მე-4 გვერდზე

აუტოჰემოთერაპია – მკურნალობა საკუთარი სისხლით



„სისხლი – ეს ხომ განსაკუთრებული წვენია“, ამბობდა გოეთე. ჩვენი სხეულის ეს სითხე ადამიანთა წარმოდგენას უძველესი დროიდან ადევლებდა – მას ადამიანის სულს უკავშირებდნენ, რამაც ენაშიც ჰპოვა ასახვა: სისხლით ნათესაობა, სისხლისმიერი ძმა, მოსისხლე მტრები.

„განსაკუთრებული წვენის“ მიმართ გაჩენილი ინტერესი ადამიანისათვის ყოველთვის ჩვეული იყო. ამის დამამტკიცებელ მრავალრიცხოვან ფაქტს ძველი სამყაროს სხვადასხვა კულტურაში ვიპოვით. „ნეი კინგის“ მანუსკრიპტებში, ძველი ჩინელი ექიმების ბიბლიაში საკუთარი სისხლის, როგორც ეფექტური სამკურნალო საშუალების შესახებაა საუბარი.

ძველმა ეგვიპტელებმაც დატოვეს ცნობები ამ პრობლემისადმი მათი ცხოველი ინტერესის შესახებ. ცნობილია ებერსის პაპირუსი (ძვ. წ. აღ. II საუკუნე), რომელშიც სისხლით მკურნალობაზეა საუბარი. სისხლის გამოყენება მკურნალობის სრულფასოვანი მეთოდად ბევრად უფრო გვიან ჩამოყალიბდა. 1615 წელს ანდრეას ლიბავიდუსმა ვერცხლის მილაკის დახმარებით პირველად შეძლო, ერთი ადამიანის სისხლი მეორესთვის პირდაპირ გადაესხა.

1681 წელს პირველად გამოიყენეს ცხვრის და ღორის გულიდან „გვერდში ჩხვლეტი“ მიღებული სისხლი. სისხლის ნამდვილი პირველი გადასხმა 1819 წელს ჯეიმს ბლანდელის მიერ ჩატარდა, ნახევარი საუკუნის შემდეგ უილიამ ნაიმორს აზრად მოუვიდა მელოგინე ქალებისათვის მშობიარობის დროს დაკარგული სისხლის გადასხმა. ამავე მიმართულებით მუშაობდა ცნობილი ქირურგი, პროფესორი ავგუსტ ბირი. 1905 წელს მან დაადგინა, რომ პაციენტის საკუთარი სისხლი, რომელიც მას ბარდაყში შეუყვანეს, ორგანიზმისათვის გარკვეული სახის გამაღვიანებელს წარმოადგენს. ბირს თავში ბრწყინვალე აზრი მოუვიდა – სისხლი სწორედ იმ მიზეზის გამო გამოეყენებინა, რომ შინაგანი სისხლჩაქცევის ფონზე მოტეხილი ძვლები უფრო სწრაფად ხორცდებოდა. იგი, უბრალოდ, ბუნებას ბაძავდა – თავის პაციენტებს სწრაფად კურნავდა.

პროფესორის იდეები მისმა მოსწავლემ, ჰანს-ჰანრიჰ რეკვეგმა აიტაცა, რომელმაც მოგვიანებით პოპოლარული მკურნალობა – მედიცინაში თანამედროვე ნატუროპათიული მიმართულება შექმნა. მისი თეორიის მიხედვით, მთელი ინფორმაცია, რომელსაც ორ-

განიზმი ფლობს, სისხლში კონცენტრირდება. მისი შეყვანით, მხატვრულად რომ ვთქვათ, „სარკეში ჩახედვის“ შესაძლებლობა იქმნება, რამაც იმუნური სისტემა უფრო ინტენსიური დაცვითი რეაქციებისათვის უნდა გააღვიძოს.

სწორედ დღეს, მუდმივი ეკოლოგიური დატვირთვის პირობებში, როდესაც იმუნური სისტემა დაუსუსტებულია, ასაკოვნებში კი, დამატებით, დაცვითი ძალების ბუნებრივი დაქვეითება აღინიშნება, ეს მეთოდი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

აუტოჰემოთერაპიას სრულიად განსხვავებული დაავადებების – მორეციდივე რესპირაციული ინფექციების, ფურუნკულოზის, კანის დაავადებების დროს იყენებენ. რეკვატივით, ალერგიით, დიაბეტით დაავადებულთათვის საკუთარი სისხლით მკურნალობამ პაციენტს შეიძლება არსებითი შვება მოჰგვაროს.

ამ მეთოდის გამოყენება მწვავე ბრონქიტის დროს დაავადების ქრონიკულ ფორმაში გადასვლას თავიდან აგვაცილებს. ეს მეთოდი მათაც დაეხმარება, ვისაც დაავადების გადატანის შემდეგ ჯანმრთელობის აღდგენა გაუხანგრძლივდა.

აუტოჰემოთერაპიის კლასიკური ფორმა პაციენტის ვენიდან სისხლის აღებასა და საკუთარ ორგანიზმში მის გადატანას (კანქვეშ ან საჯლომ კუნთში ინექციის სახით) ითვალისწინებს.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ პაციენტის სუბიექტური მდგომარეობა სწრაფად უმჯობესდება.

გავრძელება მე-3 გვერდზე

ჰიპერტონია: ზემოქმედება გულსა და სისხლძარღვებზე



დასაწყისი პირველ გვერდზე

ცებტებიც ახალი არაა – საჭიროა, კალიუმით მდიდარი ხილი და ბოსტნეული რეგულარულად ღიბი რაოდენობით მივირთვათ. მათ მიეკუთვნება ბანანი, ისპანახი და ბროკოლი. ამ მაკროელემენტს საკმაოდ ღიბი რაოდენობით შეიცავს დაღერღილი ხორბლის პური და მიუსლი, კაკალი და მცენარეთა თესლები. ჯანმრთელობისათვის საჭირო 1,64 გ კალიუმი მხოლოდ სამი ბანანის შემადგენლობაში შედის! ეს რაოდენობა საკმარისია, რომ ინსულტისაგან თავი დაიცვათ, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ არტერიული წნევის მაჩვენებლების მხრივ რისკის ჯგუფს მიეკუთვნებით.

მკურნალი კუნალი

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაგან კაცობრიობის გადარჩენის საქმეში მინერალურ სამყაროს არც მცენარეული ჩამორჩება. ბოლო წლებში სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა აქტიურად დაიწყეს ძველთაგან ცნობილი მცენარეების შესწავლა. მაგალითად, ფრანგი კარდიოლოგები დაუბრუნდნენ სისხლის მიმოქცევაზე კუნელის გავლენის შესწავლის კვლევას. მათ არაერთხელ შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ ამ მცენარის ექსტრაქტი (ლათინური სახელწოდება Crataegus) სისხლისა და ლიმფური ძარღვების შიდა ზედაპირის ამომფენი უჯრედების სტიმულაციისა

და სისხლძარღვთა გაფართოების უნარის მქონე განსაკუთრებული ნივთიერების წარმოქმნის გზით აღნიშნული ძარღვების დაბერების პროცესს ანელებს. ღიბი ხანია, კუნელი გულზე მოქმედ სამკურნალო საშუალებად ცნობილი. მისი ძირითადი კომპონენტებია მეორადი მცენარეული ნივთიერებები, რომელთაც ფლავონოიდებსა და ფიტოცინიიდებს უწოდებენ. ეს მცენარე სისხლის მიმოქცევას ააქტიურებს, გულის ჟანგბადით მომარაგებას კი ზრდის. ამას გარდა, კუნელი სისხლის ნაწილაკების აგრეგაციას, ასევე ფოლაქებისა და თრომბების წარმოქმნას აფერხებს, რაც სისხლძარღვებს აძლიერებს და სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. Crataegus-ის ფუძეზე შექმნილი პრეპარატების წარმოებისათვის ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედების მქონე კუნელის საუკეთესო ნაყოფს არჩევენ.

ადამიანის სისხლძარღვების შიდა კედლის უჯრედ-

თა ცხოველქმედება 50 წლის ასაკის შემდეგ სუსტდება (ამ მდგომარეობას ენდოთელური დისფუნქცია ეწოდება). სტრასბურგის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ფრანგი კარდიოლოგები და ფარმაკოლოგები დარწმუნებული არიან, რომ ასეთ დროს კუნელის ექსტრაქტი უაღრესად სასარგებლოა. ამ მცენარის ფუძეზე დამზადებული, პოლიფენოლებით მდიდარი პრეპარატები გულსა და სისხლძარღვებს იცავს, მათ ფუნქციას აუმჯობესებს და ხელს უშლის მიოკარდიუმის ინფარქტისა და ათეროსკლეროზის განვითარებას, რაც ჩვენს საზოგადოებაში ასეა გავრცელებული.

კუნელის სასარგებლო მოქმედება აღინიშნება საუკუნის მთავარი სისხლძარღვოვანი პრობლემის – არტერიული ჰიპერტონიის დროსაც, რომელიც სრულიად განსხვავებულ, მძიმე შედეგებს იწვევს.

ნახოქათიის შესაძლებლობები

კუნელი ნატუროპათიული საშუალებების ღიბი ნაწილის შემადგენლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, იგი გულისა და სისხლძარღვების მუშაობას არეგულირებს. მაგალითად, პოპულარული ბიორეგულაციური პრეპარატი კრალონინი (Cralonin) კუნელთან ერთად კიდევ ორ კომპონენტს (Spigelia antheimia-სა და Kalium carbonicum-ს) შეიცავს, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ახდენს ზემოქმედებას. ასეთი კომპლექსური შემადგენლობის წყალობით Cralonin-ის წვეთები (ჩვეულებრივ, 10 წვეთს დღეში სამჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე ან საკვების მიღებიდან ერთი საათის შემდეგ იღებენ) გულის უკმარისობისა და გულის იშემიური დაავადების დროს გამოიყენება.

Cralonin-ის წვეთები მრავალი სხვა დაავადების, მათ შორის ჰიპერტონიის მკურნალობის კომპლექსური სქემის შემადგენელი ნაწილიცაა.



აუტოჰემოთერაპია – მკურნალობა საკუთარი სისხლით

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ადამიანს სიმხნევე ემატება, მალდება მისი ფიზიკური და ფსიქიკური აქტივობა, იზრდება მოტივაცია.

საფხუროვანი აუტოჰემოთერაპია

ესაა რეკვეგის მეთოდით საკუთარი სისხლით მკურნალობის განსაკუთრებული ფორმა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას პოტენციურებისა და შენჯღრევის წყალობით ჰომოტოქსინების შემცველი სისხლი სამკურნალო საშუალებად გარდაიქმნება. ბიორეგულაციური პრეპარატების დამატება კი საფეხურებრივი აუტოჰემოთერაპიის ეფექტურობას არსებითად ზრდის.

მკურნალობის აღნიშნული კურსის ყველა ეტაპი ერთ სეანსად ტარდება. სხვადასხვა პოტენციისათვის აუცილებელი სისხლის აღება ვენიდან ხდება.

პირველი ინტრავენური ინექციის შემდეგ იყენებენ იმავე შპრიცს, რომელშიც სამკურნალო საშუალებასაც ათავსებენ. ამის შემდეგ მას სისხლის ნარჩენებთან ერთად ინტენსიურად შეანჯღრევენ და

ინტრამუსკულურ ინექციას აკეთებენ.

იგივე პროცედურა კიდევ რამოდენიმეჯერ მეორდება, თუმცა ახალ პრეპარატებთან ერთად და ყოველ ჯერზე პრეპარატთან ერთად ორგანიზმში ავადმყოფის განზავებული სისხლი ხვდება.

სეანსებს შორის შესვენება 4-დან 7 დღემდეა. მათი ხშირი (3 დღის შემდეგ) ჩატარება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები და სპეციალისტის კონტროლით კეთდება. შესაძლებელია აუტოჰემოთერაპიის გამოყენება ჟანგბადისა და ოზონოთერაპიის მეთოდებთან ერთად. თითოეული დაავადებისათვის პრეპარატების შერჩევა ამ დაავადების სიმპტომების საფუძველზე და პაციენტის ინდივიდუალური მახასიათებლების, ასევე მკურნალობაზე განვითარებული საპასუხო რეაქციის გათვალისწინებით ხდება.

საფეხუროვანი აუტოჰემოთერაპია რეკვეგის მეთოდით განსაკუთრებით გამართლებულია ისეთი დაავადებების დროს, როგორცაა კანის სხვადასხვა დაავადება (ეგზემის სხვადასხვა სახეები, ატოპური, მათ შორის ალერგიული ბუნების დერმატიტი, ფურუნკულოზი), ბრონქული ასთმა, კუჭისა

და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ართროზები, შაკიკი და ღვიძლის დაავადებები, ასევე ძლიერმოქმედი პრეპარატების მიღებასთან დაკავშირებული ცვლილებები, იმუნიტეტის ზოგადი დასუსტების ფონზე მორეციდივე ვირუსული ინფექციები.

კიდევ რა უნდა ვიცოდეთ ამ მეთოდის შესახებ

აუტოჰემოთერაპიის მძიმე გვერდითი ეფექტები უკიდურესად იშვიათად გვხვდება. რადგან ექიმები პაციენტის საკუთარი სისხლის მცირე მოცულობებს იყენებენ, მისი დოზირება თანდათან, თერაპიის მიმდინარეობის შესაბამისად იზრდება. სხვათა შორის, ინექციის შემდეგ შესაძლებელია ცხელების მსუბუქი შეტევები აღინიშნოს. შესაძლებელია, ზოგიერთ პაციენტს დაღლილობის შეგრძნება გაუჩნდეს. მაგრამ ეს მოვლენები სწრაფად გადის და იმის ნიშანს წარმოადგენს, რომ ორგანიზმი საჭირო მიმართულებით რეაგირებს, მისი იმუნიტეტი ძლიერდება.

მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ აუტოჰემოთერაპია ექიმის მიერ ან მისი ფიზიკური კონტროლით უნდა ჩატარდეს.

უფროსილდით ტრაუმებს!

დასაწყისი მე-2 კვერდზე

რეაქციითა მთელი ციკლის დაწყებაა, რომელიც დაზიანებულ უბანში ანთების შენარჩუნებას განაპირობებს. შემთხვევითი არაა, რომ დაჟეჟილობის ან სხვა სახის დაზიანების მიღების შემდეგ ჰემატომა (სილურჯე) წარმოიქმნება. ცოტა მოგვიანებით ვითარდება შეშუპება, რომელიც მეორადი დაზიანების ზონას ახასიათებს.

ასეთი რეაქციის კვალდაკვალ (ჩვეულებრივ, 24 საათის განმავლობაში) ანთებითი პროცესი აღდგენითი ხდება. დაზიანებული ქსოვილები ფაგოციტოზის პროცესის წყალობით სუფთადება – იქმნება ნიადაგი ახალი ქსოვილებით მათი შეცვლისათვის. მათი ჩამოყალიბება კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება – იწყება კოსმეტოლოგიაში კარგად ცნობილი, ახალი უჯრედების საშენი მასალის, კოლაგენის გაძლიერებული სინთეზი.

ტრავმიდან რამდენიმე დღის შემდეგ კაპილარების ახალი ქსელი წარმოიქმნება, რაც სისხლით ნაწიბურვანი ქსოვილის სრულფასოვნად მორაგებას განაპირობებს. როგორც კი ახალი ქსოვილების წარმოქმნა დამთავრდება, ნაწიბურვანი ქსოვილი განლევას იწყებს. ნაწიბურის ზომები დროთა განმავლობაში მცირდება, თუმცა მისი სრული გაქრობა შესაძლოა მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდეს.

ექიმების მიერ საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ტრავმების კლასიფიცირება დაავადების ხანგრძლივობისა და სიმპტომების შენარჩუნების შესაბამისად ხდება. 15 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობა მწვავე მდგომარეობის ნიშნად ითვლება, 2-4 კვირის ხანგრძლივობა ქვემწვავე მდგომარეობად ფასდება, 1,5 თვეზე მეტი ხანგრძლივობა კი ქრონიკული დაავადებაა.

ამის მიხედვით, იცვლება მკურნალობის სახე და ხანგრძლივობაც.

მკურნალობა და ნორმალური ცხოვრების წესზე დაბრუნება

მწვავე ტრავმის დროს ავადმყოფს რაც უფრო მალე დავეხმარებით, მისი ორგანიზმი ნორმას მით უფრო სწრაფად დაუბრუნდება. სიმშვიდე, სიცივე, კომპრესია პირველი დახმარების მთავარი პრინციპებია. აუცილებელია, დაზარალებული დავაწვინოთ, ტრავმირებულ კიდურზე, კუნთზე ან სახსარზე დატვირთვა შევამციროთ, დაზიანებულ ადგილზე დაუყოვნებლივ დავადოთ ყინული, რომ ჰემატომისა

ბიოჩაბუნასიუხი თხაჩია დახმარებით!

კუნთების, სახსრებისა და მყესების ტრავმების მკურნალობისათვის მრავალი წლის მანძილზე კომპლექსურ ბიორეგულაციურ პრეპარატს – Traumeel S-ს იყენებენ. მალამო Traumeel S შეხორცებას აჩქარებს – დაზიანების ადგილზე სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და დაზიანებული ქსოვილის რეგენერაციას ასტიმულირებს. მისი ზოგიერთი კომპონენტი (არნიკა, ჰამამელისი, კრაზანა, ფარსმანდუკი) სისხლდენას აჩერებს, სხვა კომპონენტები (გვირილა, ტილჭირი (Aconitum villosum), კრაზანა) ტკივილს ხსნის, ექინაცეა და ლაშქარა კი ჭრილობების შეხორცებას აჩქარებს, დაზიანებულ ადგილას ინფექციის შეჭრას ეწინააღმდეგება.

პრეპარატი ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და იმუნომოდულაციური მოქმედებით ხასიათდება, მისი წასმა შესაძლებელია დაზიანებულ ადგილას ნახვევის ქვეშ. ეფექტის გაძლიერების მიზნით მალამოსთან ერთად Traumeel S-ის ტაბლეტებს (ან წვეთებს) იყენებენ, აუცილებლობის შემთხვევაში კი ექიმმა შესაძლოა წამალი ინექციის სახით ინტრამუსკულურად ან სახსარში შეიყვანოს.

ამ პრეპარატს ყოველწლიურად მილიონობით პაციენტი, მათ შორის, ყველა სახეობის პროფესიონალი სპორტსმენი, ირჩევს.



და შეშუპების წარმოქმნა შევზღუდოთ.

ამავე მიზნით, რეკომენდებულია მკვირივი ცივი კომპრესის გამოყენება. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ტრავმის შემდეგ ადღენის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ფიზიკური აქტივობა. რასაკვირველია, აქტივობა მკურნალ ექიმთან შეთანხმებული უნდა იყოს, რადგან ზედმეტი დატვირთვა დაზიანების რეციდივს იწვევს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სწორი კვებაც – ორგანიზმმა საკმარისი ენერჯია, პროტეინები, ვიტამინები და მინერალები უნდა მიიღოს. ადღენისას განსაკუთრებულ როლს E და B ჯგუფის ვიტამინები, ასევე კალიუმი და მაგნიუმი ასრულებს. B ჯგუფის ვიტამინების გაზრდილი მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრესული სიტუაციების დროს. E ვიტამინი უჯრედს არა მარტო თავისუფალი რადიკალების მიერ დაზიანებისაგან

იცავს, არამედ ორგანიზმში ჰორმონების სინთეზზეც მოქმედებს, რაც კუნთების ნორმალურ მუშაობას განაპირობებს.

კალიუმისა და მაგნიუმის არარსებობა კრუნჩხვების განვითარებას იწვევს, ეს კი გადატვირთული კუნთოვანი ბოჭკოების გაწვევებისა და შემდგომი ქრონიკული თუ მწვავე ტრავმების მიზეზები ხდება.

სამწუხაროდ, ყველა ფაქტორზე ერთდროულად ზემოქმედება ვერ ხერხდება – ამას ასაკობრივი და თვით გენეტიკური თავისებურებებიც კი განაპირობებს. ზოგიერთს კოლაგენის შესუსტებული სინთეზი აღენიშნება, ზოგს – სრულყოფილი რეგენერაციისათვის სრულიად არასაკმარისი რაოდენობის სისხლძარღვების არსებობა. თუმცა, სწორი მიდგომის შემთხვევაში ტრავმათა დიდი ნაწილი ინკურნება და ავადმყოფებს ჯანმრთელობა უბრუნდება.

ჰომოტოქსიკოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება, ჰომოტოქსიკოლოგიის საერთაშორისო ასოციაცია და საერთაშორისო ბიოლოგიური მდიდისონისა და ჰომოტოქსიკოლოგიის საზოგადოება

გაცნობებთ, რომ 2011 წლის 5 ნოემბერს თბილისში სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში ჩატარდება საერთაშორისო სემინარი თემაზე:

"ბიოჰენჯეხა - ტკივილის მართვა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს"



სემინარს ჩაატარებს გერმანელი ექიმი, ვიტენ/ჰერდესის, ბონის, მილანისა და ვიადრინას უნივერსიტეტების პროფესორი **სილვარტ პოპატი**.



გაიცემა საერთაშორისო სერთიფიკატი



დასწრება წინასწარი ჩაწერით



დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით: ტელეფონზე 2-311-911; 2-311-311 ან მოგვაკითხეთ მისამართზე: ალ. ყაზბეგის გამზ. 24ა (ყოფილი პავლოვის ქუჩა)